

ეთიკა & შესაბამისობა

GROUPE ADP
ქცევის კოდექსი



GROUPE ADP
SHARING NEW HORIZONS

რედაქტორისგან

ეთიკურ ქცევაზე ორიენტირება- ნიშნავს სწორი კურსით სვლას !

Groupe ADP– სთვის ეთიკა და შესაბამისობა გულისხმობს ფასეულობების და იმ ქვეყნების კანონებისა და რეგულაციების დაცვას, სადაც ჯგუფი იმყოფება.

გარდა ამისა, Groupe ADP, Aéroports de Paris SA და TAV აეროპორტები 2003 წელს „გლობალური შეთანხმების“ 10 პრინციპის ხელმოწერი გახდა (იხ. გვერდი 6).

პროცედურებში ცვლილებების განხორციელების მიზნით ეთიკა და შესაბამისობა პირველ რიგში გამოხატული უნდა იყოს კულტურული ხასიათის ცვლილებებით. მნიშვნელოვანია, თანამშრომლების მზაობა კარი გაუღონ კულტურულ ცვლილებებს და იხელმძღვანელონ Groupe ADP-ის ღირებულებებით ყოველდღიურ ცხოვრებაში.

იხელმძღვანელო სწორი ეთიკის პრინციპებით ნიშნავს სწორ გზაზე დგომას!



ერთგულება: ორმხრივი ვალდებულება

შრომითი ხელშეკრულების გაფორმება (განუსაზღვრელი/განსაზღვრული ვადით, სტაჟირების შესახებ ხელშ. და ა.შ.) თანამშრომელს და დამსაქმებელს, ორივეს აკისრებს ერთგულების ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ორივე მხარეს მოეთხოვება განუხრელად შეასრულოს საკუთარი სამუშაო.

ერთგულების ვალდებულება:

- ძალაშია დამსაქმების ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში, სამუშაოს შეწყვეტის, შვებულებისა და დღესასწაულების ჩათვლით;
- **ეხება ნებისმიერ პოზიციაზე დასაქმებულ ყველა მუშაკს, განურჩევლად**

- **გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა პირობაა გათვალისწინებული დასაქმების ხელშეკრულებით.**

მოვალეობაში განსაზღვრულია ქმედებების ფართო სპექტრი, მაგალითად ქმედებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარის არამართლზომიერი ზიანი და რომელსაც ახორციელებს რომელიმე მხარე- დასაქმებული (არ მიაყენოს ზიანი ან შეურაცხყოფა მის დამქირავებელს, მომხმარებელს, პარტნიორს, მომწოდებელს და ა.შ.) ან დამსაქმებელი (ანაზღაურებადი ხელფასის გადახდა თავის დროზე), აგრეთვე თანამშრომლების უზრუნველყოფა შეთანხმებული სამუშაოთი, სათანადო რესურსების გამოყოფა , რათა თანამშრომლებმა შეძლონ მათთვის დაკისრებული სამუშაოს შესრულება და ა.შ.).



ეთიკა და შესაბამისობა წარმოშობს ნდობას, ამიტომაც ჩვენი Group-ისთვის და მისი პარტნიორებისთვის ეს წარმატებული პერფომანსის ტოლფასია!

სწორედ მისი დამსახურებაა ჩვენი არაფინანსური რეიტინგის 12 - 18%, რადგან ის უშუალო გავლენას ახდენს ჩვენი ზრდა/განვითარების პოტენციალზე.

თითოეული თანამშრომელი უნდა იყოს ამ პროცესის აქტიური მონაწილე და შეასრულოს ჩვენი ეთიკის კულტურის ელჩის როლი ჩვენს პარტნიორებთან ურთიერთობებისას.

სწორედ ამ მიზნით, Groupe ADP ახორციელებს გლობალურ პროგრამას, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ინფორმაციაზე, ინფორმირებულობაზე და ტრენინგებზე, როგორც საკვანძო საშუალებებზე, რომლებიც დაგეხმარებათ დანერგოთ და გაატაროთ ეს მიდგომები თქვენს ყოველდღიურ საქმიანობებში.

Groupe ADP– სთვის ეთიკა და შესაბამისობა უაღრესად მნიშვნელოვანია და ჩვენი ბიზნეს საქმიანობის სავაჭრო ნიშანს უნდა წარმოადგენდეს.

ეთიკისა და შესაბამისობის წესები ჩვენი შინაგანანესის განუყოფელი ნაწილია. ისინი ეფუძნება სამ ფუნდამენტურ პრინციპს, რითიც უნდა ვიხელმძღვანელოთ სამუშაოს შესრულებისას: პასუხისმგებლობა, პატიოსნება და პატივისცემა.

ნებისმიერი დასაქმებული და ნებისმიერი ის პირი, რომელიც მოქმედებს კომპანიის სახელით ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ პრინციპებით, მიუხედავად მისი თანამდებობისა თუ კომპანიაში მათი როლისა. დასაქმებულებს აგრეთვე მოეთხოვებათ უზრუნველყოთ მათადმი დაქვემდებარებული პირების მიერ ამ პრინციპების დაცვა.

ამ წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინარული ქმედებები.

ამრიგად, უაღრესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი სენსიტიური სიტუაცია განიხილოთ თქვენს მენეჯერებთან, ან ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერთან (იხილეთ გვერდი 26). ამ საკითხებზე ფიქრი და მსჯელობა გადამწყვეტი ნაბიჯებია სწორი რეაგირებისთვის და სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად, აგრეთვე პოტენციურად სარისკო სიტუაციების გამოვლენისა და მათი შესაბამისი მართვის უზრუნველსაყოფად. ჩვენ ერთად, შეგვიძლია დავეხმაროთ კომპანიას, რომ გაიზარდოს და განვითარდეს.

ამ პროცესებში ჩვენი მონაწილეობა ნიშნავს, რომ სწორ გზას ვადგავართ!



codeofconduct.groupeadp.fr

რაში სჭირდება GROUPE ADP-ს ეთიკისა და შესაბამისობის პროგრამა

ეთიკა&შესაბამისობა: ჩვენეული განმარტება

Groupe ADP-თვის ეთიკა და შესაბამისობა გულისხმობს ორივეს: შესაბამისობას კანონებთან და რეგულაციებთან და შესაბამისობას ჩვენს ღირებულებებთან.

ეთიკა&შესაბამისობა: რისკები

ეთიკა და შესაბამისობა საყოველთაო მოთხოვნაა დღევანდელ ბიზნეს საქმიანობაში.

ჩვენი პარტნიორები დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენს ქცევას ამ ორ საკვანძო საკითხთან მიმართებაში.. თავის მხრივ, ჩვენ ჩვენი ქმედებებით ვამტკიცებთ, რომ ვიმსახურებთ მათ ნდობას.

ანალოგიურად, ეთიკისა და შესაბამისობის დარღვევებმა შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ბაზრებიდან (მსოფლიო ბანკი და ა.შ.) ჩვენი გარიცხვა ანდა დაწესებულ იქნეს აკრძალვები გარკვეული ბანკებიდან სესხის აღებაზე.

ამიტომ ეთიკა და შესაბამისობა უშუალო გავლენას ახდენს მხარეების ჩვენდამი ნდობაზე და ჩვენს პერფომანსზე.

ეთიკის ზოგიერთმა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ჯარიმების დაწესება კომპანიისთვის და მისი თანამშრომლებისთვისაც. ჩვენი ეთიკისა და შესაბამისობის მექანიზმის მიზანია დავიცვათ **არა მხოლოდ კომპანია, არამედ Groupe ADP-** ის ყველა თანამშრომელი.



**აშშ-ს ოფიციალური პირები
იყენებენ მკაცრ სანქციებს კორუფციის
წინააღმდეგ, მაგალითად:**

- **Petróleo Brasileiro S.A. – Petrobras**
(ბრაზილია): **1,78 მილიარდი \$ (2018).**
- **Siemens** (გერმანია): **800 მილიონი \$ (2008)**
- **Alstom** (საფრანგეთი): **772 მილიონი \$ (2014).**
- **Société Générale S.A. (France): 585 მილიონი \$ (2018).**
- **KBR / Halliburton (აშშ) : 579 მილიონი \$ (2009)**

**ქცევის კოდექსი: განხილვა და
გამოყენება**

Groupe ADP-ს უაღრესად მომთხოვნ გარემოში უწევს ოპერირება, ამიტომ, სულ მცირე შეცდომაც კი შესაძლოა კომპანიას ძალიან ძვირი დაუჯდეს (მაგალითად, ჯარიმები, დაპატიმრება, ბიზნეს სანქციები, რეპუტაციის შეზღუდვა და ა.შ.)

ამიტომ Groupe ADP-მ გადანყვიტა მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ქცევის წესები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოიცავს ყველა შესაძლო შემთხვევას, ემსახურება კომპანიისა და მისი თანამშრომლების დაცვას.

ეს ქცევის კოდექსი ვრცელდება ყველა Groupe ADP- ის თანამშრომელზე.

კოდექსის მიზანია ყურადღების გამახვილება ეთიკის ძირითად საკითხებზე კონკრეტული მაგალითების მოყვანით, რაც ჩვენს თანამშრომლებს დაეხმარებათ გაითავისონ ეს პრინციპები და გამოიყენონ ისინი თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში.

**ეთიკისა & შესაბამისობის პროგრამა:
განვითარება და სწორი კურსით სიარული**

ეთიკის, იურიდიული საკითხებისა და დაზღვევის განყოფილებები ჯგუფის დონეზე ერთად მუშაობენ პროგრამის შესაქმნელად. ისინი გააგრძელებენ თანამშრომლობას პროგრამის დანერგვის ეტაპზეც ჩვენი შვილობილი კომპანიების ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერი პირების მხარდაჭერითა და იმ საიმედო თანამშრომლებთან კოლაბორაციით, რომლებიც ურთიერთგადაამკვეთი კულტურების წარმომადგენლები არიან.

**ვის მიმართთ კითხვების შემთხვევაში
და სენსიტიურ სიტუაციებში**

მნიშვნელოვანია გაგვიზიაროთ შეშფოთება კონკრეტული კითხვების გაჩენის ან სენსიტიურ სიტუაციაში აღმოჩენის შემთხვევაში, მიმართოთ კონკრეტულ პირებს და განიხილოთ ეს საკითხები, რადგანაც მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი პრობლემების გამოაშკარავება და რისკების აღმოჩენა. ამასთან, ეს ჩვენ დაგვეხმარება თქვენს მენეჯერთან სათანადო გამოსავლის მოძებნაში (იხ. გვერდები 26-29).

ჩვენ აგრეთვე ჩამოაყალიბეთ „განგაშის“ სისტემა **, რომელსაც გაეცნობით „განგაშის სისტემის“ პლატფორმაზე.

* <http://codeofconduct.groupeadp.fr>

** <https://alert.groupeadp.fr>

გლობალური შეთანხმების 10 პრინციპი



ადამიანის უფლებები

- 1/ ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს.
- 2/ ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე.

შრომითი უფლებები

- 3/ ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური მოლაპრაკებების შესახებ.
- 4/ უნდა გამოორიცხოს დისკრიმინაცია დასაქმების ეტაპზე და თანამშრომლების მიმართ.
- 5/ უნდა ეფექტურად აღკვეთოს ბავშვთა შრომა.
- 6/ უნდა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა.

გარემოს დაცვა

- 7/ ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოსდაცვითი გამოწვევებისადმი.
- 8/ თავის თავზე უნდა აიღოს ინიციატივები და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას.
- 9/ უნდა წაახალისოს გარემოსთვის არამავნებელი ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება.

კორუფციასთან ბრძოლა

- 10/ ბიზნესმა უნდა იმუშაოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, ფულის გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.



შინაარსი

შესაბამისობა კანონებთან და რეგულაციებთან	8
თაღლითობასთან ბრძოლა	10
კორუფციის პრევენცია	12
საჩუქრების, მასპინძლობის დასხვა სარგებლის კონტროლი	14
ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენა და მართვა	16
პირადი მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვა	18
თავისუფალი კონკურენციის პრინციპის დაცვა და გატარება	22
თანამშრომლების, კოლეგებისა და პარტნიორების პატივისცემა	24
სენსიტიური სიტუაციების მართვა	26
გლოსარი	30

კანონებისა და რეგულაციების დაცვა

ეთიკა მჭირდო კავშირშია კანონებისა და რეგულაციების დაცვასთან.

ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულებისას თითოეულ თანამშრომელს მოეთხოვება კანონებისა და რეგულაციების, ისევე როგორც ხელშეკრულებით განწერილი საკუთარი მოვალეობების ზედმინევენით შესრულება.



მაგალითად :

ცოცხალი ხნის წინ დამანინაურეს და ახალ პოზიციაზე გადამიყვანეს. ჩემს ახალ პოზიციაზე ჩემი ერთ-ერთი მოვალეობა ველური ბუნების წარმომადგენლებისგან გამონეწეული საფრთხეების მართვაა აეროპორტში. ჩემმა გუნდმა ახლახანს შემატყობინა, რომ გვევალება კონკრეტული რეგულაციის დაცვა, რომლის შესახებაც აქამდე არ ვიცოდით.

როგორ უნდა მოვიქცე?

სიტუაცია უნდა განიხილოთ თქვენს მენეჯერთან და სთხოვოთ იურიდიულ განყოფილებას მოგანდოთ შესაბამისი ინფორმაცია.



აუკეთესო პრაქტიკა

- განიხილეთ თქვენს მენეჯერთან რა იურიდიული ცოდნა გჭირდებათ თქვენს პოზიციაზე.
- თუ თქვენი პოზიცია ამას მოითხოვს, გაცანით მინიმუმ შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების საფუძვლებს.
- გამოიყენეთ თქვენი კომპანიის სამართლებრივი მონიტორინგის ინსტრუმენტი*, თუ ეს შესაძლებელია, ან / და მიიღეთ ინფორმაცია იურიდიული განყოფილებისგან.
- შეასრულეთ შესაბამისი მითითებები.**



გაითვალისწინეთ!

თუ ეჭვი გეპარებათ დოკუმენტის კანონიერებაში, დაიცავით შემდეგი პროცედურები:

- განიხილეთ საკითხი თქვენს მენეჯერთან და თქვენს განყოფილებაში მომუშავე კოლეგებთან.
- საკითხიდან გამომდინარე დაუკავშირდით იურიდიული სამსახურის დაზღვევის განყოფილებას, **the Group**-ის ეთიკისა და შესაბამისობის განყოფილებას ოფიცერს, და/ან თქვენი ადამიანური რესურსების სამსახურის მენეჯერს.

* სამართლებრივი მონიტორინგის ინსტრუმენტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ თქვენს იურიდიულ განყოფილებას. ** შესაბამისი დელეგირებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ თქვენს მენეჯერს ან თქვენს იურიდიულ განყოფილებას.

მაგალითად :

მე გახლავართ ტერმინალის უშიშროების მენეჯერი. საჯარო თანამდებობის პირმა მითხოვა, ჩემი პროცედურები გავეწერო ისე, რომ სახელმწიფო სამსახურების წარმომადგენლების გატარება უსაფრთხოების საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე მოხდეს მხოლოდ მათ უნიფორმაზე დაყრდნობით, ბევრს წარმოდგენის ვალდებულების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური ინსტრუქცია მოქმედ რეგულაციებში ვერსად მოვიძიე, მაინც დავეთანხმე მოთხოვნას, რადგან ეს მოდიოდა მთავრობის დეპარტამენტისგან.

არის თუ არა სწორი ჩემი გადაწყვეტილება?

თუ ამ ტიპის გამოწვევის არ არის გათვალისწინებული კანონით, სახელმწიფო მოხელეს უფლება არა აქვს მოითხოვოს იგი. ოფიციალური პირის მოთხოვნის შესრულებით დაარღვევთ კანონს და საფრთხეს შეუქმნით კომპანიას. თქვენ უნდა დაუკავშირდეთ იურიდიულ საკითხთა განყოფილებას, რომელიც გაცნობებთ თუ არსებობს მსგავსი კანონი და დაგეხმარებათ საჯარო მოხელისთვის პასუხის მომზადებაში.




მკაცრად აკრძალულია

- ნებისმიერი იურიდიული რისკის შემცველი გადაწყვეტილების მიღება, თქვენს მენეჯერთან ან იურიდიულ განყოფილებასთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე.
- ვალდებულების აღება, კომპანიის რაიმე ვალდებულებისადმი დაქვემდებარება, როდესაც არსებობს ეჭვი კომპანიის ან მისი პარტნიორების მიერ კანონებისა და წესების დაცვასთან დაკავშირებით.

ბრძოლა თაღლითობასთან

თაღლითობა არის შეუსაბამო ან არაკანონიერი სარგებლის მისაღებად ჩადენილი საქციელი.

თაღლითობა შეიძლება გახდეს სისხლის სამართლებრივი დევნის საგანი; თაღლითობის მაგალითებია: ქურდობა, გამოძალვა, გაფლანგვა, ნდობის ბოროტად გამოყენება, მოპარულის დამალვა, დანაშაულის/ან დამნაშავეს დამალვა, ფულის გათეთრება, კორუფცია (იხ. გვერდი 12), მუშების გამორჩევა არა საქმიანი თვისებების მიხედვით, არამართლზომიერი ინტერესის გამოჩენა, საჯარო სახსრების მითვისება, კომპანიის შიგნით უკანონო გარიგებებში შესვლა და კომპანიის აქტივების ბოროტად გამოყენება ან სხვისი სახელის/პირადობის მითვისება, საჯარო ქონების მითვისება/ხელში ჩაგდება.



მაგალითად :

მე გახლავართ ბულალტერი. ერთ პარასკევ საღამოს 4 საათზე შემოვიდა ზარი უცნობი პირისგან, რომელმაც განაცხადა რომ იყო კომპანიის გენერალური დირექტორი და მომთხოვა დაუყოვნებლივ გადამერიცხა ფული მის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

უნდა შევასრულო ეს მითითება?

ეს შესაძლოა იყოს თაღლითობის მცდელობა, ზოგადად უკვე ცნობილი, როგორც "CEO fraud" („თაღლითობა: -„დირექტორი ვარ““). ასე რომ, საჭიროა მივყვე სათანადო პროცედურებს, მათ შორის: ვაცნობო ჩემს მენეჯერს ამის შესახებ და განვახორციელო ვალიდაციის შესაბამისი პროცედურები.

მაგალითად :

მე წასული ვარ სახლიდან შორს მივლინებაში. მსურს ჩემს შვილებს ვუყიდო საჩუქარი. რომლის საყიდლადაც ვიყენებ Groupe ADP-ის საბანკო ბარათს.

მისაღებია ეს საქციელი?

ეს არის ნდობის ბოროტად გამოყენება. კომპანიის საბანკო ბარათის გამოყენება მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის არის დაშვებული.



აუკეთესო პრაქტიკა

- თაღლითობის პრევენციისთვის ყველა თანამშრომელი უნდა იყოს პროაქტიული
- შეასრულეთ ყველა მოქმედი ინსტრუქცია და პროცედურა
- დაიცავით კომპანიის აქტივები და ინვენტარი (ინფრასტრუქტურა, მონაცემები და ა.შ.).
- აკონტროლეთ ყველა ქმედება და შეინახეთ ყველა დამხმარე დოკუმენტაცია.



გაითვალისწინეთ!

- თაღლითობაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში აუცილებლად აცნობეთ ამის შესახებ მენეჯერს, თქვენს იურიდიულ განყოფილებას ან Group-ის ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერს.



მკაცრად აკრძალულია

- დათანხმდეთ კომპანიის პროცედურების უგულვებელყოფაზე.

კორუფციის პრევენცია

კორუფცია გულისხმობს ნებისმიერი საჯარო ან კერძო პირებისათვის უპირატესობის (საჩუქრების, სტუმართმოყვარეობის, ფულის, ინფორმაციის, მომსახურებისა და ა.შ.) შეძენას, რათა აიძულონ ისინი იმოქმედონ ან თავი შეიკავონ მოქმედებისგან. კორუფცია შეიძლება იყოს აქტიური (მომსყიდველი) ან პასიური (იმ პირის მხრიდან, ვისი მოსყიდვაც ხორციელდება).

მხოლოდ განზრახვაც საკმარისია იმისთვის, რომ მიეცეს დანაშაულის კვალიფიკაცია!

ასეთ დროს პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მარტო კორუფციის უშუალო მონაწილე მხარეებს (მომსყიდველსა და მოსყიდულს) არამედ: საწარმოსა და მის წარმომადგენლებსაც. ამასთან, კორუფცია აზიანებს საწარმოს რეპუტაციას. კორუფციის ეფექტური პრევენციის მიზნით საწარმოს თითოეულ თანამშრომელს მოეთხოვება შემდეგი პრინციპების გათავისება: არანაირი კომპრომისი ამ პრინციპების შესაბამისობასთან დაკავშირებით არ დაიშვება.

Groupe ADP ყოველთვის დაუჭერს მხარს იმ ეთიკურ თანამშრომლებს, რომლებიც უარს ამბობენ კორუფციულ გარიგებებზე ან რაიმე ფორმით ქრთამის აღებაზე.



აუკეთესო პრაქტიკა

- შეასრულეთ ყოველდღიური ოპერაციები ღიად, მართებულად, კეთილსინდისიერად და **Groupe ADP**- ის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შესაბამისად.
- გააცანით ყველა ჩვენი ბიზნეს პარტნიორი კორუფციასთან ბრძოლის შესახებ ჩვენს ვალდებულებას.
- კორუფციის ან კორუფციის მცდელობის შესახებ ეჭვის შემთხვევაში შეატყობინეთ თქვენს მენეჯერს ან **Group**-ის ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერს (იხ. გვერდი 28).
- იხილეთ „პასუხისმგებლიანი ლობირების ქარტია“ სადაც მოცემულია სახელმძღვანელო ინფორმაცია ინტერესების წარმოდგენის შესახებ.



გათვალისწინეთ!

- არ იგრძნოთ თავი დავალბებულად პარტნიორისგან გარკვეული უპირატესობისა თუ სარგებლის მიღების შემდეგ.
- არ აწარმოოთ ურთიერთობა შუამავლებთან (კომერციული აგენტი ან წარმომადგენელი) მათთვის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ჩვენი ვალდებულების გაცნობის გარეშე ან ამ პირობის ხელშეკრულებაში გათვალისწინების გარეშე.
- არ მიიღოთ ან არ შესთავაზოთ საჩუქარი/ მასპინძლობა კონტექსტის/სიტუაციის გაანალიზების გარეშე (იხილეთ გვერდი 14).



მკაცრად აკრძალულია

- ქრთამის, საჩუქრის, მომსახურებების, მასპინძლობის შეთავაზების მიღება ან შეთავაზება ტენდერში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად ან საწარმოს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლის სანაცვლოდ.
- კონტრაქტის მიღების მიზნით კლიენტის მიერ შემოთავაზებული შუამავლის მომსახურებით სარგებლობაზე დათანხმება.
- რეალურად მიღებულზე უფრო მეტი ოდენობით მომსახურების ან შეკვეთის მიღების დადასტურება საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის სარგებლის მოპოვების მიზნით.
- ბიზნეს ურთიერთობის წამოწყება ვინმესთან, კონკრეტული მესამე მხარის წინასწარი შემონმების გარეშე (მომწოდებლები, მომხმარებლები და ა.შ.) (იხ. მესამე მხარის შემონმების პროცედურები).
- ხელშემწყობი გადახდების შესრულება ნებართვების მისაღებად ან ამ პროცესების დასაჩქარებლად.

ერთადერთი გამონაკლისი ზემოთ მოცემულ პრინციპებთან მიმართებაში: მცირე ტოლერანტობა დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც პირის ან მისი ნათესავების ფიზიკური უსაფრთხოება დგას საფრთხის ქვეშ. -ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს მენეჯერს, ადამიანური რესურსების მენეჯერს, იურიდიულ განყოფილებას ან ეთიკისა და შესაბამისობის სამსახურის ოფიცერს.

მაგალითად :

მე გახლავართ ექსპერტი საბარგო პროცედურებში. ბარგის მომსახურების სისტემების მონყობილობების მომწოდებელი მთავაზობს VIP ადგილებს სპორტულ ღონისძიებაზე, იმ პირობით თუ მივანვდი მას ჩვენი ჰენდლინგური სისტემის ტექნიკურ მონაცემებს.

ეს მისაღებია?

ეს არის მოქრთამვის მცდელობა, რაც ისჯება კანონით და Groupe ADP-ის რეგულაციებით. მე უარს ვამბობ ამ შეთავაზებაზე. აგრეთვე ვატყობინებ ჩემს მენეჯერს ან ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერს ამის შესახებ.

მაგალითად :

ვმუშაობ აეროპორტში. ადგილობრივი ავიაკომპანიის მენეჯერი მთავაზობს უფასო მგზავრობას, ან ეკონომ ბილეთის ბიზნეს კლასზე გადაცვლას იმ პირობით თუ სამუშაოზე ავიყვან მის ვაჟიშვილს.

ეს მისაღებია?

ეს არის მოქრთამვის მცდელობა, რაც ისჯება კანონით და Groupe ADP-ის რეგულაციებით. მე უარს ვამბობ ამ შეთავაზებაზე. აგრეთვე ვატყობინებ ჩემს მენეჯერს ან ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერს ამის შესახებ.


საერთაშორისო მნიშვნელობის დარღვევის რისკები

კომპანიის შემთხვევაში

- 5 მილიონი ევროდან კომპანიის ბრუნვის 30% -მდე (french Sapin 2 law)
- კონკრეტული ბაზრიდან გაძევება (მსოფლიო ბანკის მიერ)
- აკრძალვები სესხის აღებაზე
- კომპანიის რეპუტაციის შეზღავანა

თანამშრომლების შემთხვევაში

- 10 წლამდე პატიმრობა
- 1 მილიონი ევროს ოდენობით ჯარიმა (french Sapin 2 law)
- სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა
- შესაბამის სფეროში მუშაობის აკრძალვა 5 წელზე მეტი ვადით



საჩუქრების, მასპინძლობისა და სხვა სარგებლის მკაცრი კონტროლი

საჩუქრების და მასპინძლობის მიღება ადვილად შეიძლება ჩაითვალოს ქრთამად და კორუფციად, ამიტომ, იშვიათი სახე უნდა ქონდეს. ზემოთხსენებულმა მუშაკებმა და კომპანიამ შეიძლება თანაბარი რისკის ქვეშ დააყენოს.

მოუხედავად იმისა, რომ თანამშრომლებმა შეიძლება დროდადრო ერთმანეთს უმასპინძლონ ან საჩუქრები აჩუქონ მხოლოდ და მხოლოდ კარგი ურთიერთობის ნიშნად, უალრესად მნიშვნელოვანია მსგავსი სიტუაციების კონტექსტის ყურადღებით გაანალიზება.



აუკეთესო პრაქტიკა

- ქვემოთ მოცემული 4 კრიტერიუმის მიხედვით გაანალიზეთ საჩუქრების გაცემისა და მასპინძლობის შეთავაზებების კონტექსტი:
- უპირატესობა მიანიჭეთ სარეკლამო ხასიათის და/ან სიმბოლური ღირებულების მქონე საჩუქრებს.
- პროფესიული შეკრებებისას, Groupe ADP-იმ შეიძლება დააფინანსოს ტრანსპორტირებისა და საცხოვრებლის ხარჯები, თუ ეს სასარგებლო და მომგებიანია ბიზნესისთვის.
- ყოველთვის მიიღეთ ნებართვა მენეჯერისგან > € 200 ღირებულების ნებისმიერ საჩუქარზე/ მასპინძლობაზე.



გაითვალისწინეთ!

- თავი აარიდეთ ნებისმიერ ისეთ საჩუქარს ან მასპინძლობას, რაც გარეშე პირს რაიმე ეჭვს გაუჩენს საჩუქრის მიმცემი ან მიმღები პირის პატიოსნებასთან დაკავშირებით.
- თავი აარიდეთ ისეთი საჩუქრის ან მასპინძლობის მიღებას, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს თანამშრომლის მიერ Groupe ADP-ის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობაზე.



მკაცრად აკრძალულია

- ნებისმიერი ოდენობის ფულის, გინდაც სესხის ან გარანტიის სახით. ან მოძრავი აქტივების ან ქონების, მონაცემების, ან მესამე მხრიდან მოგზაურობის შეთავაზების ან სხვა მომსახურების მიღებას საკუთარი თავისთვის, ან ოჯახის წევრისთვის, მეგობრებისთვის, და ან კოლეგებისთვის საზღაურის გადახდის გარეშე.
- ნებისმიერი სახის საჩუქრის ან მასპინძლობის შეთავაზების მიღება, რომელიც საჩუქრის გამცემის ვალში ჩაგაგდებთ.
- ნებისმიერი სახის საჩუქრის ან მასპინძლობის შეთავაზების მიღება სტრატეგიულად მნიშვნელოვან დროს (ტენდერში მონაწილეობაზე მოწვევა).

* ნებისმიერი საჩუქრის ან მასპინძლობის ჯამური ღირებულება (იხ. საჩუქრები & მასპინძლობის პროცედურები) - დაუსვით კითხვები ეთიკისა & შესაბამისობის განყოფილებას კონკრეტული პლატფორმის საშუალებით (<https://alert.groupeadp.fr>).



მაჩვენებლები კონტექსტის ანალიზის 4 კრიტერიუმი:

- 1** დაუკავშირდით იურიდიულ განყოფილებას და გაარკვიეთ რეგულირდება თუ არა ესა თუ ის საკითხი ადგილობრივი კანონებით.
- 2** გაითვალისწინეთ სტრატეგიული კონტექსტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში: არც მიიღოთ და არც შესთავაზოთ საჩუქრები, მასპინძლობა ტენდერის გამოცხადების, კენჭისყრის, მოლაპარაკებების მიმდინარეობისას და ა.შ.
- 3** მუდმივად დაიცავით პროფესიული ურთიერთობების ზღვარი, ნუ შეიჭრებით სხვის პირად ცხოვრებაში. ქვემოთ მოცემულია არა-პროფესიონალური სიტუაციების მაგალითები:
 - ნებისმიერი მასპინძლობა, რომელიც მოიცავს იმ მეგობრებს, თუ ოჯახის წევრებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი პროექტთან.
 - როდესაც სემინარებზე და პროფესიულ ღონისძიებებზე გატარებული თავისუფალი დრო აღემატება საქმეზე დახარჯულ დროს.
- 4** გაარკვიეთ, რამდენად გონივრულია საჩუქრების/მასპინძლობის ღირებულება.
 - ორმხრივობის ტესტი: ვარ თუ არა უფლებამოსილი იმავე ღირებულების საჩუქარი/მასპინძლობა შევთავაზო ჩემი სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში?
 - იმის განსაზღვრა, თუ რამდენად გონივრულია საჩუქრის/მასპინძლობის ღირებულება შეიძლება აგრეთვე ადგილობრივი კანონებისა და შემოსავლის დონის გათვალისწინებით, ეს კრიტერიუმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც თანამშრომელი საზღვარგარეთ არის დასაქმებული. მაგალითად: ეს სხვა ქვეყანაში შეიძლება საშუალო ხელფასის 5/10% იყო.
 - ღირებულების გამოთვლისას გაითვალისწინეთ წარსულში მიღებული ყველა სხვა საჩუქრის/მასპინძლობის ჯამური ღირებულება (შეაჯამეთ და დაადგინეთ 1 წელიწადში ან კვარტალში მიღებული საჩუქრების ღირებულების ჯამური ოდენობა- იხ. გრაფიკი ქვემოთ).

შეჯამება

საჩუქრები/ მასპინძლობები

> € 200 ჯამური ღირებულება

საფრანგეთისთვის ან
საშუალო ხელფასის 5-10%
სხვა ქვეყნებისთვის

საჭიროებს წინასწარ ნებართვას თქვენი
მენეჯერისგან

საჩუქრები/ მასპინძლობები

> € 60 ჯამური ღირებულება

შეატყობინეთ მენეჯერს



საჩუქრები/ მასპინძლობები

< € 60 ჯამური ღირებულება

არ საჭიროებს ნებართვას

ინტერესთა კონფლიქტების გამოვლენა და მართვა

ინტერესთა კონფლიქტები წარმოიშობა, როდესაც თანამშრომლის, ან მასთან ახლოს მყოფი პირის პირადი ინტერესი ეწინააღმდეგება თანამშრომლის სამსახურებრივ მოვალეობებსა და მისთვის სანარმოს მიერ დაკისრებულ მისიას. ითვლება, რომ სანარმო ვერ დაეყრდნობა ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციაში მყოფ მუშაკს მიუკერძოებელი პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით. ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციაში ყოფნა, როგორც ასეთი, არ ნიშნავს დანაშაულს ან დარღვევას, ეს უკანასკნელი წარმოიშობა სენსიტიური სიტუაციიდან, რამაც საბოლოოდ შეიძლება დანაშაულამდე მიგვიყვანოს.

ინტერესთა კონფლიქტები შესაძლოა წარმოიქმნას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში: გარე პარტნიორებთან გარიგებებისას, გუნდის შიგნით, ნაცნობის სამსახურში აყვანისას და ა.შ.



აუკეთესო პრაქტიკა

- შეასრულეთ საკუთარი მოვალეობები მხოლოდ და მხოლოდ კომპანიის ინტერესების მკაცრი დაცვით და არასდროს იხელმძღვანელოთ პირადი ინტერესებით.
- იცოდეთ, როგორ ამოიცნოთ პოტენციური თუ აღმოცენებადი ინტერესთა კონფლიქტი.
- შეატყობინეთ თქვენს მენეჯერს ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერს ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან მისი არსებობის ეჭვის შესახებ, რათა ერთად გადაწყვიტოთ სიტუაციის მოგვარების საუკეთესო გზები და მინიმუმამდე დაიყვანოთ თანამშრომლისა და კომპანიის რისკები.



გაითვალისწინეთ!

- იყავით ინფორმირებულნი თქვენი მეგობრების, ოჯახის წევრების, ან თანამშრომლების შესახებ, რომელთაც შესაძლოა ქონდეთ ბიზნეს ან პირადი ურთიერთობები ან ფინანსური დაინტერესებაც კი Groupe ADP-ის მომწოდებელთან, კონკურენტთან ან მომხმარებელთან.
- ზოგიერთ საჯარო სიტუაციაში(მაგ: . გარკვეული მანდატის მქონე პირის არჩევა), თავიდან აიცილეთ მონაწილეობა ისეთი



მკაცრად აკრძალულია

- ინტერესთა კონფლიქტის დამალვა, რაც სერიოზულ ზიანს მიაყენებს Group-ს და მის თანამშრომელს.

მაგალითად :

მე ვმონაწილეობ მომწოდებლის არჩევის პროცესში. ჩემი ძმა მუშაობს კომპანიაში, რომელსაც განაცხადი აქვს შემოტანილი.

როგორ უნდა მოვიქცე?


კომპანიაში ჩემი ძმის პოზიციისა და დაკავშირებული ფინანსური რისკების გათვალისწინებით, შესაძლოა ადგილი ქონდეს ინტერესთა კონფლიქტს. დადგენა იმისა, მისაღებია თუ არა ეს სიტუაცია შესაძლებელია მხოლოდ თქვენს მენეჯერთან ამ სიტუაციის ღია და გულახდილი განხილვისა და ისეთი გადაწყვეტილების მიღების გზით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება თქვენი და Groupe ADP-ის დაცვა.

მაგალითად :

თავისუფალ დროს ვასრულებ აეროპორტის მეზობლების ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას. როგორც Groupe ADP-ის თანამშრომელი, ვმუშაობ ახალ ადრ-ს პროექტზე.

როგორ უნდა მოვიქცე?

Groupe ADP პატივს ცემს მისი თანამშრომლების პირად ცხოვრებას და უფრო მეტიც, ხელს უწყობს მათ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში და ასოციაციებში. ამის მიუხედავად, თუ ფიქრობთ რომ თქვენი ჩართულობა „აეროპორტის მეზობლების ასოციაციაში“ წინააღმდეგობაში მოვა Groupe ADP-ის ინტერესებთან, აუცილებლად უნდა შეატყობინოთ ამის შესახებ თქვენს მენეჯერს. ეს უკანასკნელი ან თქვენი ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერი გირჩევთ თუ როგორ მოიქცეთ.



პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვა

Groupe ADP-ის ჯგუფს შიგნით მიმდინარე ყოველდღიური ოპერაციები კომპანიის სპეციფიკასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი მონაცემების, საქმიანობათა, სტატისტიკისა და კვლევების გაზიარებასა და დამუშავებას მოითხოვს. ინფორმაციის ეს სოლიდური მოცულობა ძვირფას აქტივს წარმოადგენს. მონაცემთა გაჟონვა, არასწორი დამუშავება თუ სერიოზული დაზიანება კომპანიისათვის რისკების წარმოქმნას ნიშნავს.

ჩვენი მონაცემთა აქტივები დაცული უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომპანიის სამომავლო ზრდა და კონკურენტუნარიანობა. ჯგუფის სენსიტიური და კონფიდენციალური მონაცემების დაცვა და მართვა, მიუხედავად ამ მონაცემთა ტიპის, ფორმისა და ლოკაციისა, სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია.

სწორედ ამ მიზნით Groupe ADP-მ შეიმუშავა „ჯგუფის მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, რომლის ყოველდღიური და სისტემატიური განხორციელება ყველა თანამშრომლის მოვალეობაა, ისევე როგორც ამ პოლიტიკის დაცვაში აქტიური ჩართულობა.



* მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ უსაფრთხოებასა და რისკების მართვის განყოფილებას.

განსაკუთრებული შემთხვევა: პერსონალური მონაცემები

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამა თუ იმ პირის ვინაობის დასადგენად (მაგ., სახელი და გვარი) ან რომელიც იძლევა ამა თუ იმ პირის ვინაობის დადგენის საშუალებას სხვადასხვა მონაცემების ერთობლიობაში განხილვის გზით (ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო ნომერი, ბეჯის ნომერი და სხვ.) ითვლება პერსონალურ მონაცემებად. ასეთ მონაცემთა ქვეკომპლექტი

(ბიომეტრული მონაცემები, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ა.შ.) ითვლება სენსიტიურ და კონფიდენციალურ მონაცემებად.

ხსენებული პერსონალური მონაცემების გამოყენება უნდა ხდებოდეს ყველა შესაბამისი რეგულაციის, განსაკუთრებით ევროპის „მონაცემთა დაცვის საერთო რეგლამენტის“ (GDPR) მოთხოვნების დაცვით.



ჯარიმები პერსონალური მონაცემების დაუცველობისათვის ევროპის რეგლამენტის თანახმად

ზოგადი ხასიათის - დარღვევები:

ჯგუფის ერთიანი ბრუნვის 2%. დაწესება ხდება: მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი მენეჯერისა და ქვეკონტრაქტორის მიერ მოვალეობათა დარღვევისას, კომპანიის ქცევის კოდექსის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ საკუთარ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას.

ძირითადი პრინციპების, პიროვნულ უფლებათა ან ვალდებულებათა დაუცველობა

მონაცემთა სხვა ქვეყნებში ან საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაგზავნისას: ჯგუფის წინა წლის ერთიანი ბრუნვის 4%.

პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვა (გაგრძელება)



აუკეთესო პრაქტიკა

- კომპანიასთან დაკავშირებულ მონაცემებთან შეხებისას, იქნება ეს კომპანიის ფარგლებში თუ მათ გარეთ, დაიცავით სიფრთხილისა და კონფიდენციალურობის უმაღლესი დონე.
- განსაზღვრეთ მოცემულ დოკუმენტში გადმოცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და მისი დონე ჩაინერეთ ამავე დოკუმენტზე ჯგუფის 4-დონიანი კონფიდენციალურობის შკალის მიხედვით (საჯარო, შეზღუდული გამოყენების, კონფიდენციალური, კონფიდენციალურობის მაღალი დონით). იხილეთ ასევე ჯგუფის მონაცემთა დაცვის პოლიტიკა*.
- კონფიდენციალურ ინფორმაციაზე მუშაობისას დარწმუნდით, რომ თქვენი გარემო უსაფრთხოა, გამოიყენეთ მხოლოდ კომპანიის აპარატურა და არასოდეს შეასრულოთ ასეთი სამუშაო საჯარო სივრცეებში.
- კონფიდენციალური ან კონფიდენციალურობის მაღალი დონის მქონე ინფორმაციის გადაცემისას (ზეპირად, წერილობით თუ ციფრულად) დარწმუნდით, რომ მათ გადასცემთ მხოლოდ ნაცნობ და იდენტიფიცირებულ პირებს; თუ ასეთი პირები არ არიან Groupe ADP-ის ნაწილი ან თუ მონაცემები კონფიდენციალურობის მაღალი დონის შემცველია, აუცილებელია მათ გადაცემამდე ჯერ კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ შეთანხმება მოიპოვოთ.
- დოკუმენტები, რომლებთანაც გაქვთ შეხება, მათი კონფიდენციალურობის დონის მიხედვით შეინახეთ და გაანადგურეთ (დაცული კარადა, შრედერი და ა.შ.).

პერსონალური მონაცემების დაცვა:

- პროექტის დაწყებისთანავე მოახდინეთ იმ პერსონალურ მონაცემთა იდენტიფიცირება, რომლებთანაც მოგიწევთ შეხება მუშაობის პროცესში.
- იხელმძღვანელებთ მონაცემთა დაცვის ადგილობრივი რეგულაციებითა და შიდა წესებით (ჩანწერა, შეგროვება და ა.შ.).
- მონაცემთა დაცვისთვის განკუთვნილი თქვენი ქმედებები, მათ შორის მათი გადაცემა, ამ მონაცემთა კონფიდენციალურობის დონის პროპორციული უნდა იყოს.
- როგორც კი მონაცემების გამოყენებას დაასრულებთ, დაუყოვნებლივ წაშალებთ ისინი თქვენი პერსონალური მონაცემთა შესანახი საშუალებებიდან.



გაითვალისწინეთ!

- სახლში მუშაობისას იხელმძღვანელებთ ჯგუფის გაიდლაინებითა და წესებით.
- მივლინებაში ყოფნისას იხელმძღვანელებთ ჯგუფის რეგულაციებით.

პერსონალური მონაცემების დაცვა:

- მონაცემთა მოპარვის ან დაკარგვის ეჭვის გაჩენისას (მაგ., USB-ზე) ან მონაცემთა ცვლილების აღმოჩენისას (მაგ., ჰაკერობის შემთხვევა) დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს იურიდიულ განყოფილებას, მონაცემთა დაცვის ოფიცერს ან IT განყოფილებას.

* მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ მონაცემთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ განყოფილებას.



მკაცრად აკრძალულია

- ნებისმიერი სახის ინფორმაციის, დოკუმენტებისა თუ ფაილების, მათ შორის მიმდინარე თუ დაგეგმილი პროექტებისა და კვლევების, განსაკუთრებით სანარმოო, კომერციული, ფინანსური, ტექნიკური და სხვა ოპერაციებისა, აგრეთვე Groupe ADP-ში შემავალი რომელიმე კომპანიის ბიზნესთან დაკავშირებული ნებისმიერი საიდუმლოსა თუ პროცესების ნებისმიერი ფორმით გამჟღავნება ლეგიტიმური მიზეზების ქონისა და სათანადო დაცვის ზომების მიღების გარეშე.
- მედია-საშუალებებისათვის კონკრეტული ინფორმაციის გამჟღავნება იმ პროექტების შესახებ, რომლებზეც მუშაობთ ან ადრე გიმუშავიათ.

პერსონალური მონაცემების დაცვა:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ადგილობრივი რეგულაციებისა და შიდა წესების პირობების დაუცველობა.

კომპიუტერებისა და მონაცემთა დაცვა

<p>1 კოდური სიტყვა</p> <p>გამოიყენეთ რთული კოდური სიტყვები, თავიდან აიცილეთ ერთი და იგივე კოდური სიტყვების გამოყენება რამოდენიმე ადგილას, არასდროს გაამზილოთ კოდური სიტყვა.</p>	<p>2 შენახვა და დარეზერვება</p> <p>სამუშაოს მონაცემები შეინახეთ მხოლოდ თქვენი კომპანიის კუთვნილ ინფორმაციის შესანახ მესსიერებაში.</p>	<p>3 განახლება</p> <p>დაუყოვნებლივ მოახდინეთ თქვენი კომპიუტერული მონაცემების პროგრამული განახლება IT განყოფილების მხრიდან ამ უკანასკნელის მოთხოვნისთანავე.</p>
<p>4 ფლემდრაივერები</p> <p>შეეცადეთ თავიდან აირიდოთ ე.წ. ფლემდრაივერებისა და / USB ჩხირების გამოყენება კონფიდენციალური ინფორმაციის შესანახად (დაკარგვისა და ვირუსის გავრცელების მაღალი რისკის გამო). ნაცვლად, ისარგებლეთ არსებული კომპანიის გაზიარების პლატფორმით, მაგ: საქალაქლების გადასაგზავნად.</p>	<p>5 ე-ფოსტა</p> <p>ყველა საეჭვო შეტყობინების შესახებ აცნობეთ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირს კომპანიაში და ყურადღებით შეამონმეთ ყველა თანდართული დოკუმენტი და ლინკი მათ გახსნამდე.</p>	<p>6 ჩამოტვირთვა</p> <p>რაიმე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, სთხოვეთ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირს, რომ მოახდინოს ტესტ ჩამოტვირთვა და შეამონმოს კონკრეტული ბმულების უსაფრთხოება.</p>
<p>7 როუმინგი</p> <p>არასდროს შეინახოთ სამსახურებრივი ხასიათის ინფორმაცია თქვენს კომპიუტერში. ყოველთვის ისარგებლეთ თქვენი კომპანიის მონაცემთა შენახვის საშუალებებით. გამოიყენეთ კონფიდენციალურობის ფილტრები.</p>	<p>8 სამსახურისა და პირადი ცხოვრების გამიჯვნა</p> <p>გამიჯნეთ ერთმანეთისგან სამსახურებრივი და პირადი საკომუნიკაციო საშუალებები, მათ შორის, ე-ფოსტა, მონაცემბაზები და ა.შ.</p>	<p>9 ვირუსი</p> <p>გამიჯნეთ ერთმანეთისგან სამსახურებრივი და პირადი საკომუნიკაციო საშუალებები, მათ შორის, ე-ფოსტა, მონაცემბაზები და ა.შ.</p>

* საფრანგეთის შემთხვევაში : flashvir@adp.fr.
 * სტავის შემთხვევაში : TAVInformationSecurity@tav.aero.

თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შენარჩუნება

გახსნილი, დაბრკოლებებისაგან თავისუფალი კონკურენცია ჯანსაღი და საქმიანი ურთიერთობების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს. კონკურენციის შესახებ კანონი კრძალავს კონკურენტებს შორის ფიქსირებული ფასების დადგენას, კონტრაქტებისა და სტრატეგიული ინფორმაციის გაზიარებას. იგი აგრეთვე კრძალავს დომინანტი კონკურენტის მიერ საკუთარი პოზიციის ბოროტად გამოყენებას. იგი მოითხოვს ერთნაირ მიდგომას ერთი და იმავე კონტრაქტის მოპოვების მსურველი ეკონომიკურად ხელსაყრელი ერთეულებისადმი. საკუთარ ბიზნეს-პარტნიორებთან ურთიერთობაში **Groupe ADP** თავის ქცევას აგებს ლოიალურობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულ მიდგომაზე. შესყიდვებში **Groupe ADP** იყენებს ძალზე კონკრეტულ წესებს, რომლებითაც ხდება საჯარო კონტრაქტების რეგულირება. ამ წესების არცოდნამ ან არასაკმარისმა გაგებამ კომპანია და თანამშრომლები მძიმე ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ჯარიმების საშიშროების წინაშეც კი შეიძლება დააყენოს.




აუკეთესო პრაქტიკა

- პარტნიორებისადმი (მომწოდებლები, მომხმარებლები, საქმიანი პარტნიორები და ა. შ.) იყავით ყოველთვის სამართლიანი და ყველა მხარეს ერთნაირი ინფორმაცია მიაწოდეთ.



გაითვალისწინეთ!

- კონკურენტებს შორის (მაგ. ტენდერში მონაწილე პირებს შორის, რომლებიც ფიქსირებული ფასების დადგენას შეეცდებიან) რაიმე აკრძალული გარიგების ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში.
- არასოდეს მოახდინოთ ფასდათმობის, ფასდაკლების ან რაიმე სახის ფინანსური სარგებლის შეთავაზება სათანადო პროცედურების დაცვის გარეშე.
- რაიმე ეჭვის არსებობის შემთხვევაში ყველანაირი შესაძლო რისკის შეფასებისა და შემდგომი ნაბიჯების თაობაზე გადაწყვეტილების მიზნით კონსულტაცია გაიარეთ თქვენს მენეჯერთან, იურიდიულ განყოფილებასთან ან თქვენს ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერთან.



მკაცრად აკრძალულია

- სტრატეგიული ინფორმაციის გამჟღავნება კონკურენტი აეროპორტებისათვის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით.
- კონფიდენციალური საქმიანი ინფორმაციის კონკურენტი მომხმარებლების, სავაჭრო ოპერატორებისა თუ მომწოდებლებისათვის გამჟღავნებისათვის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ხელშეწყობა.

მაგალითად :

კონფერენციაზე კოლეგამ სხვა აეროპორტიდან მითხრა, რომ სურდა ჩემთან აეროპორტებთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკების განხილვა. რამდენადაც ეს იდეა სასარგებლოდ მეჩვენება, გადავწყვიტეთ ერთმანეთს ყოველთვე გავეუზავნოთ შესაბამისი ინფორმაცია ელ-ფოსტის მეშვეობით.

ეს დაშვებულია თუ არა?

მიმდინარე თუ სამომავლო კომერციულ საიდუმლოებასთან დაკავშირებული სპეციფიური, კონფიდენციალური და არასაჯარო საქმიანი ინფორმაციის გამჟღავნება მკაცრად აკრძალულია და შეიძლება დისციპლინარული ზომების გატარება გამოიწვიოს. აღნიშნული ინფორმაცია გულისხმობს სხვა ავიაკომპანიებთან მიმართებაში ფასწარმოქმნის, ფასებისა და საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკის სტრატეგიებს.

განიხილეთ მოცემული საკითხი იურიდიულ განყოფილებასთან და გაითვალისწინეთ მათი რჩევა.

მაგალითად :

უნდა აშენდეს ახალი ავიასანარმო. რესურსების მაქსიმალურად გონივრულად გამოყენების მიზნით, ტარდება მიზანშეწონილობის კვლევა ავიასანარმოსთან Y, რომელიც ახლა უნდა დაფუძნდეს.

უნდა აცნობოს Groupe ADP-მ სხვა ავიასანარმოებს ამ პროექტის შესახებ?

Groupe ADP უფლებამოსილია საკუთარი გადანყვეტილებისამებრ მოახდინოს აეროპორტის ტერიტორიებისა და ობიექტების გადაცემა, მაგრამ აღნიშნული უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ავიასანარმოს შორის სამართლიანი კონკურენციის პირობებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კონსულტაციების გავლა მოხდეს ყველა ავიასანარმოსთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული დისკრიმინაციისა თუ მიკერძოების ბრალდებების წარმოქმნა.



ჯარიმები

კომპანიისთვის დაწესებული


- მთლიანი კონსოლიდირებული ბრუნვის 10%-მდე
- კონტრაქტის ან სადაო მუხლების გაუქმება
- ზიანთან და ინტერესებთან დაკავშირებული საჩივრები
- ტენდერზე მონვევებიდან გამოორიცხვა

- რეპუტაციის შელახვა
- **იმ თანამშრომლებისთვის დაწესებული, რომლებიც პირდაპირ არიან პასუხისმგებელნი აღნიშნულზე**
- მძიმე შემთხვევებში 4 წლამდე პატიმრობა
- ჯარიმები 75,000 ევროს ოდენობით

ჩვენი თანამშრომლების, კოლეგებისა და პარტნიორებისადმი პატივისცემის გამოჩენა

ჩვენი თანამშრომლებისადმი პატივისცემის გამოჩენა აუმჯობესებს მათ კეთილდღეობას და ხელს უწყობს ჩვენს წარმატებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს გვახსოვდეს, როცა ვიბრძვით დისკრიმინაციისა და შევიწროების წინააღმდეგ .

ჩვენი პარტნიორებისადმი ერთნაირი პატივისცემის გამოჩენა ამაღლებს ნდობისა და თანამშრომლობის ხარისხს.



აუკეთესო პრაქტიკა

- ჩვენი თანამშრომლებისა და კოლეგებისადმი ყურადღების გამოჩენა და სამართლიანი მოპყრობა.
- ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ნდობასა და დიალოგის რეჟიმს ჩვენს გუნდებში წარმოქმნილი სენსიტიური საკითხების უკეთესი მართვის მიზნით. მაგ., საკითხების პირდაპირ განხილვა ელ-ფოსტის მეშვეობით განხილვის ნაცვლად რაც შეიძლება მალე, ელ-ფოსტაზე გასაგები და თავაზიანი წერილების მიწერა, სამუშაო საათების შემდეგ ელ-ფოსტაზე წერილების იშვიათად გაგზავნა გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.
- გამოიჩინეთ პატივისცემა: თქვენი კოლეგების, პარტნიორებისა და მომხმარებლებისადმი იქონიეთ ისეთი მიდგომა, როგორც შეესაბამება ჯგუფის ძირითად ვალდებულებებს.
- დისკრიმინაციისა თუ შევიწროების ფაქტების აღმოჩენისას ამის თაობაზე აცნობეთ თქვენს მენეჯერს ან ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერს.
- გააგებინეთ ჩვენს პარტნიორებს ეთიკის კუთხით დადგენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ვალდებულებების შესახებ და მზად იყავით მათთან აღნიშნულთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.



გაითვალისწინეთ!

- ყურადღებით იყავით, რათა არ გამოგრჩეთ იმის მანიშნებელი გარემოებები თუ მინიშნებები, რომ კოლეგები არაკომფორტულ სიტუაციაში იმყოფებიან.
- აღმოაჩინეთ ჩვენი პარტნიორების მიერ ჩვენი ეთიკის პრინციპების დარღვევის შემთხვევები და უზრუნველყავით მათი შემსუბუქება.



მკაცრად აკრძალულია

- პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაცია, განსაკუთრებით სამსახურში აყვანისა თუ დანიშნულების პროცესში.
- იმგვარი მოქმედება, რომელიც შესაძლოა აღქმულ იქნეს, როგორც შევიწროება ან სექსისტური ქმედება.

მაგალითად :

ერთერთმა კოლეგამ გადანყვიცა უარი ეთქვა კონკრეტული მომწოდებლის არჩევაზე, თუმცა იგი თითქოს ყველა ჩვენს მოთხოვნას აკმაყოფილებს. ჩემი კოლეგის მიერ გაკეთებული ხშირი კომენტარებიდან გამომდინარე ვეჭვობ, რომ ეს გადანყვიცელება კომპანიის მენეჯერის ეროვნებას უნდა უკავშირდებოდეს.

როგორ უნდა მოვიქცე?

დისკრიმინაცია კანის ფერის, ეროვნებისა და ეთიკური წარმომავლობის საფუძველზე მიუღებელი და აკრძალულია. ასეთი შემთხვევების აღმოჩენის შემთხვევაში მათ შესახებ უნდა აცნობოთ თქვენს მენეჯერს, შესაბამის პირს კადრების განყოფილებიდან ან თქვენს ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერს.

მაგალითად :

ჩემი უშუალო მენეჯერი მუდმივად აკრიტიკებს და აკინებს ერთერთი კოლეგის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რითიც სრულად დააკარგინა მას საკუთარი თავისადმი რწმენა, თუმცა ადრე იგი პატივცემული და აღიარებული იყო თავისი კარგი მუშაობის გამო.

რა შემიძლია მოვიმოქმედო?

ხელმძღვანელის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საკუთარი გუნდის ნახალისება და მოტივირება. ამას გარდა, ხელმძღვანელს ევალება ობიექტური და სამართლიანი მიდგომის ქონა თითოეული კოლეგისადმი. მენეჯერი მაგალითს იძლევა და ამკვიდრებს და მოეთხოვება, რომ საკუთარი გუნდის წევრებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად პატივისცემით და თანასწორად უდგებოდეს.

თუ წაანყდით ფსიქოლოგიური და/ან სექსუალური შევიწროების ფაქტს ან თავად გახდით მისი მსხვერპლი, ნუ დატოვებთ ამას რეაგირების გარეშე, განიხილეთ თქვენს კადრების განყოფილების წარმომადგენელთან ან ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერთან.



**საფრანგეთის კანონით
გათვალისწინებული ჯარიმები**

დისკრიმინაცია:


- 3 წლამდე პატიმრობა და ფულადი ჯარიმა - 45,000 ევროს ოდენობით


შევიწროება:

- 3 წლამდე პატიმრობა და ფულადი ჯარიმა - 45,000 ევროს ოდენობით

სენსიტიური სიტუაციების მართვა

არასდროს არ დარჩეთ მარტო სენსიტიურ სიტუაციებში
დაუსვით შემდეგი კითხვები საკუთარ თავს:





სენსიტიური სიტუაციების მართვა (გაგრძელება)

ვის უნდა დაელაპარაკოთ? როგორ უნდა დაუკავშირდეთ მათ?

თუ გაქვთ შეკითხვები ან გსურთ აცნობოთ ქცევის კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებით, გთხოვთ მიმართოთ:

- 1/ თქვენს მენეჯერს
- 2/ შესაბამის დეპარტამენტს: კადრების, იურიდიულ და სხვა განყოფილებებს.
- 3/ ეთიკისა და შესაბამისობის ოფიცერს განგაშის სისტემის პლატფორმის გამოყენებით გვერდზე:
<https://alert.groupeadp.fr>



(იხ. ასევე განგაშის სისტემის წესდება)

განგაშის სისტემის გამოყენების მიზეზები

ჯგუფის კარგი იმიჯი მისი ზრდისა და ეფექტური საქმიანობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თითოეული თანამშრომელი ამა თუ იმ გზით ხელს უწყობს ჯგუფის რეპუტაციის შენარჩუნებას საკუთარი სიტყვითა და ქცევით.

პრობლემებსა და დარღვევებზე შეტყობინებები ჯგუფს ეხმარება ისეთი მიდგომის გატარებაში, რომელიც პროგრესის დანერგვაზე იქნება ორიენტირებული და იმავდროულად საკუთარი და თანამშრომლების ინტერესების დაცვაშიც.

რამდენად ვარ დაცული განგაშის სისტემის გამოყენების შემთხვევაში?

მოცემული სისტემა განკუთვნილია მისი მეშვეობით შეტყობინების გადამცემი პირების დასაცავად, რომლებიც მოქმედებენ უანგაროდ, კეთილსინდისიერად და რომელთაც პირადად შეიტყვეს შესაბამისი ფაქტების შესახებ. ასეთი პირების ვინაობისა და მათ მიერ გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობა გარანტირებულია. ადამიანი, რომელიც იყენებს განგაშის სისტემას, დაცულია როგორც მისი შეტყობინების თაობაზე მოკვლევისას, ასევე მის შემდგომ. კონფიდენციალურობის ნებისმიერმა დარღვევამ იმათი მხრიდან, ვისაც ევალება განგაშის ზარებზე რეაგირება, შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი სანქციების შეფარდება.

ყველას აქვს უფლება, გამოიყენოს განგაშის სისტემა მენეჯერისთვის წინასწარი შეტყობინებისა და მისი თანხმობის გარეშე. განგაშის სისტემის გამოყენებაში ჩარევის ან აღკვეთის ნებისმიერმა მცდელობამ შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი სანქციების შეფარდება.

მეორეს მხრივ, განგაშის სისტემის არაკეთილსინდისიერი გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინარული ზომის გამოყენება.



სასარგებლო ბმულები



„ეთიკა და შესაბამისობა „Group ADP“-ის ქცევის კოდექსის ვებგვერდი“.



<http://codeofconduct.groupeadp.fr>



Group ADP-ის“ ეთიკისა და შესაბამისობის ვებგვერდი

<https://www.parisaeroport.fr/en/group/group-strategy/ethics-and-compliance>

გთხოვთ, უყოყმანოდ შეატყობინოთ ჩვენს პარტნიორებს და დაინტერესებულ პირებს წინამდებარე საიტის შესახებ, რათა გაეცნონ ჩვენს ქცევის კოდექსს.

გლოსარი

ნდობის ბოროტად გამოყენება

ნდობის ბოროტად გამოყენება გულისხმობს ვინმეს ქონების იმგვარად გამოყენებას, რაც არ ყოფილა წინასწარ შეთანხმებული ამ ქონების მფლობელთან. მაგ., კომპანიის მიერ გადმოცემული ქონების (საკრედიტო ბარათები, მანქანები და სხვ.) გამოყენება პირადი მიზნებისათვის წინასწარი შესაბამისი შეთანხმების გარეშე. საფრანგეთში ასეთი დანაშაული ისჯება 3 წლით თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით € 375,000 ოდენობით.

დამალვა

დამალვა წარმოადგენს რაიმეს დამალვას, მიჩქმალვას ან გამჟღავნებისაგან თავის შეკავებას, ხოლო მოპარულის დამალვა შუალედური რგოლია და ემსახურება რაიმეს გაყიდვას ან გადაცემას სხვისთვის და ამავდროულად იმის ცოდნას, რომ ეს დანაშაულის ან დარღვევის ნაყოფს წარმოადგენს. საფრანგეთში ასეთი დანაშაული ისჯება 5 წლით თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით € 375,000 ოდენობით.

კორუფცია

კორუფცია გულისხმობს უპირატესობის შექმნას (საჩუქრები, მასპინძლობა, ფული, ინფორმაცია და ა.შ.) ამა თუ იმ საჯარო თუ კერძო პირისათვის მათ მიერ რაიმე ქმედების ჩადენის ან ქმედებისაგან თავის შეკავების გამოწვევის მიზნით. კორუფცია შეიძლება იყოს აქტიური (იმ პირის მხრიდან, რომელიც ცდილობს მოისყიდოს სხვა პირი) და პასიური (იმ პირის მხრიდან, რომლის მოსყიდვასაც ცდილობენ). საფრანგეთში ასეთი დანაშაული ისჯება 10 წლით თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით 1 მილიონი ევროს ოდენობით.

ერთგულების ვალდებულება

შრომითი ხელშეკრულების ხელმოწერა (მიუხედავად იმისა, ის უვადოა, ფიქსირებული ვადით, სწავლების ვადით დადებული თუ სხვ.) როგორც დამქირავებელს, ასევე დაქირავებულს აკისრებს ერთგულების ვალდებულებას, რომელიც ორივე მხარისაგან მოითხოვს პატიოსნად მოქმედებას სამუშაოს შესრულებისას.

ერთგულების ვალდებულება დასაქმებულისაგან მოითხოვს, რომ ამ უკანასკნელმა თავი აარიდოს ისეთ ქმედებას, რაც შეიძლება ზიანი მოუტანოს კომპანიას. როგორც წესი, ერთგულების ვალდებულება მოიცავს ასევე მოვალეობებისადმი ერთგულებისა და კონფიდენციალურობის ვალდებულებასაც.

ხელშემწყობი გადახდები

აღნიშნული გადასახადები გულისხმობს ფულის გადახდას რაიმე ადმინისტრაციული პროცესის (მაგ., ნებართვის გაცემა) გასაადვილებლად ან დასაჩქარებლად, როგორც წესი სახელმწიფო მოხელისა თუ თანამდებობის პირისთვის, როცა ასეთი ქმედება არ არის ნებადართული ჩვეულებრივად არსებული პროცესებისა და წესების ფარგლებში. ბევრ ქვეყანაში ასეთი საქმიანობა კორუფციად ითვლება.

ფავორიტიზმი

ფავორიტიზმი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ვინმე ანიჭებს ან ცდილობს მიანიჭოს უსამართლო უპირატესობა სხვა პირს საჯარო კონტრაქტებისა და სახელმწიფო სამსახურის მიერ ვალდებულებათა გადაცემის შესახებ კონტრაქტების თავისუფალი და თანასწორი ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი წესების დარღვევით. საფრანგეთში ასეთი დანაშაული ისჯება 2 წლით თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით € 30,000 ოდენობით.

თანხების მითვისება / გაფლანგვა

თანხების მითვისებას / გაფლანგვას ადგილი აქვს ფიზიკური ან იურიდიული პირის შეცდენას თანხების, წილებისა თუ სხვა ქონების გადასაცემად, სერვისების გასანევად ან გარკვეული ქმედებების ჩასადენად ყალბი ვინაობისა თუ სახელის თაღლითურად გამოყენების, რეალურად არსებული ვინაობის ბოროტად გამოყენების გზით ან მოტყუების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. საფრანგეთში ასეთი დანაშაული ისჯება 5 წლით თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით € 375,000 ოდენობით.

სარგებლის არალეგალური მიღება

სარგებლის არალეგალურ მიღებას ადგილი აქვს მაშინ, როცა საჯარო ძალაუფლების მქონე პირი, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივი სამსახურის განევაზე ან რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება საჯაროდ არჩევის გზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ამა თუ იმ გზით იღებს ან იტოვებს რაიმე სახის სარგებელს კომპანიისა თუ სანარმოსაგან და ამავდროულად ნაწილობრივ ან სრულად არიან ვალდებული ამავე კომპანიისა თუ სანარმოს მონიტორინგზე, ფუნქციონირებაზე, ლიკვიდაციასა თუ გადახდების შესრულებაზე. საფრანგეთში ასეთი დანაშაული ისჯება 5 წლით თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით € 500,000 ოდენობით ან ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული დანაშაულის შედეგად მიღებული მოგების ორმაგი ოდენობით.





შიდა გარიგებები

შიდა გარიგებები წარმოადგენს ისეთ დანაშაულს, რომელიც ფინანსურ ბაზრებს უკავშირდება. მას ადგილი აქვს ამა თუ იმ პირის მიერ საბირჟო ბაზარზე ოპერაციის (გაყიდვისა თუ ყიდვის) შესრულებისას ისეთ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლის გასაჯაროება არ მომხდარა. საფრანგეთში ასეთი დანაშაული ისჯება 5 წლით თავისუფლების აღკვეთითა და 100 მილიონ ევრომდე ჯარიმით.

არასამართლიანი ან არასათანადო უპირატესობის მინიჭება

აღნიშნული გულისხმობს ნებისმიერი სახის უპირატესობას ან სარგებელს (ფული, მომსახურება, საჩუქრები, მასპინძლობა და სხვ.), რომელსაც ლეგიტიმურ ურთიერთობაში შესაბამისი ეკვივალენტი არ გააჩნია. მაგ., ისეთი გადახდების შესრულება, რომლებიც არ შეესაბამება საჭირო საქონლისა თუ მომსახურებისთვის შესასრულებელ გადახდებს.

ლობირება

არასამთავრობო ორგანიზაციის „ტრანსპერენსი ინტერნეშენალ“ (Transparency International) მიხედვით (კოალიცია, რომლის წევრიც არის Groupe ADP 2008 წლიდან), ლობირება არის „ნებისმიერი წერილობითი თუ ზეპირი კომუნიკაცია დაინტერესებული ჯგუფის წარმომადგენლსა და სახელმწიფოს მხრიდან გადაწყვეტილების მიმღებ პირს შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენის მიზნით“.

კომპანიის ქონების ბოროტად გამოყენება

კომპანიის ქონების ბოროტად გამოყენება წარმოადგენს ისეთ დანაშაულს, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნას კომპანიის მენეჯერების მიერ, რომლებიც არაკეთილსინდისიერად იყენებენ კომპანიის ქონებას ან ნდობას პირადი მოგების მიზნით ან სხვა კომპანიისა თუ ერთეულის სასარგებლოდ, რომლითაც კომპანია პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით არის დაინტერესებული და ამასთანავე იცინან, რომ აღნიშნული კომპანიის ინტერესებს ეწინააღმდეგება. საფრანგეთში ასეთი დანაშაული ისჯება 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით € 375,000 ოდენობით.

ფულის გათეთრება

ფულის გათეთრება არის უკანონო მოგებების „გასუფთავება“ (ნარკოტიკების გადაზიდვა, ქურდობა, თაღლითობა და ა.შ.) მათი ლეგალური საქმიანობით შენიღბვის გზით (ქონება, რესტორნები და სხვ.). საფრანგეთში ასეთი დანაშაული ისჯება 5 წლით თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით € 375,000 ოდენობით, ხოლო ზოგიერთ სერიოზულ შემთხვევაში 10-წლიანი თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით € 750,000 ოდენობით.

აქციონერები

აქციონერი არის პირი ან პირთა ჯგუფი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კომპანიის მიერ საკუთარი მიზნების მიღწევაზე ან რომელსაც შეიძლება გავლენა იქონიოს ამ მიღწევამ. აქციონერებს შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი ურთიერთობა ჰქონდეთ კომპანიასთან. აქციონერები შეიძლება იყვნენ შიდა (მენეჯერები, თანამშრომლები, დირექტორები და ა.შ.) და გარე (მენილეები, პარტნიორები, მომხმარებლები, მიმწოდებლები, კონკურენტები და ა.შ.).

ინფორმატორი

ინფორმატორი - ეს არის ფიზიკური პირი, რომელიც ობიექტურად და კეთილსინდისიერად ახდენს საკუთარი მოწმეობით გავებული დანაშაულის, კანონისა და რეგულაციების აშკარა და უხეში დარღვევის ანდა მუქარისა თუ სერიოზული საფრთხის ფაქტის მხილებას ან შეტყობინებას ადგილობრივი წრეებისა თუ საზოგადოებისათვის.

ინფორმატორი კანონით არის დაცული მის წინააღმდეგ გატარებული ყველანაირი ზომებისაგან (მაგ., მისი დამქირავებლის მხრიდან) ისევე როგორც ყველანაირი სისხლის სამართლის დევნისაგან).



codeofconduct.groupeadp.fr



GROUPE ADP

groupeadp.fr

1, rue de France
93290 Tremblay-en-France